



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ინფორმაციული ტექნოლოგიები

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი
1 ნომბერი, 2019 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი
11 დეკემბერი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები Information Technologies
განათლების საფეხური	მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ინფორმატიკის მაგისტრი, (კვალიფიკაციის კოდი 0401 კომპიუტინგი/ ინფორმატიკა)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი 21.01.2020)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ დავითაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი დათუკიშვილი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ზანგალაძე, შპს იდეა დიზაინ ჯგუფი (ს/კ 204555329), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბაქარ დუაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამაზე მიღება მიმდინარეობს 2008 წლიდან, აკრედიტაცია მიენიჭა 2015 წლის 21 იანვარს. პროგრამა 120 კრედიტიანია. აქედან სავალდებულო ნაწილია 78 ECTS, რაც მოიცავს ძირითად სასწავლო კურსებს (8 საგანი \times 6 ECTS = 48 ECTS) და სამაგისტრო ნაშრომს (30 ECTS). არჩევითი საგნების საერთო რაოდენობაა 34 (თითოეული 6 ECTS, რაც ჯამში შეადგენს 204 ECTS-ს), საიდანაც სტუდენტი ირჩევს 7-ს (42 ECTS).

ძველ პროგრამაში ძირითადად განახლდა ლიტერატურა პროგრამის სილაბუსებში. გარდა ამისა, ძირითადი საგნების ბლოკს დაემატა საგანი „IT პროექტების მართვა“.

წარმოდგენილი პროგრამა იძლევა ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორში კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობას.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ვიზიტი აკრედიტაციის მამიებელ დაწესებულებაში განხორციელდა 2019 წლის 1 ნოემბერს. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ პროფესორი გიორგი დათუკიშვილი კავკასიის უნივერსიტეტიდან, დამსაქმებელი მარიამ ზანგალაძე შპს იდეა დიზაინ ჯგუფიდან და სტუდენტი ბაქარ დუაძე ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა თინათინ დავითაშვილი ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტში მონაწილეობდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი ლაშა მაჭარაშვილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით 11:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე და მოიცავდა შეხვედრებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან. მოეწყო გასაუბრება სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დღის ბოლოს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს წარუდგინეს ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებები.

დაწესებულების წარმომადგენლები მომზადებულები შეხვდნენ ვიზიტს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს სამუშაო პირობები შეუქმნეს და უზრუნველყვეს საჭირო დოკუმენტების მიწოდება.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სამაგისტრო პროგრამა შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

რჩევა სტანდარტი 1-ის 1.1 კომპონენტში - პროგრამის მიზანი: პროგრამა იძლევა ცოდნას კომპიუტერულ სისტემების და ქსელების, მონაცემთა ბაზების (შესაბამისი სერტიფიკატების აღების შესაძლებლობით), მობილური აპლიკაციების, ERP სისტემების, საინფორმაციო ტექნოლოგიებში მათემატიკური მეთოდების მიმართულებით. თუმცა, სასურველია ეს უფრო კარგად იყოს ფორმულირებული პროგრამის მიზნების ნაწილში. კერძოდ, ამ ნაწილში ჩამოთვლილია პროგრამის მიერ შეთავაზებული საგნები იმის საჩვენებლად, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. საგნების სანაცვლოდ, უმჯობესი იქნება უბრალოდ ჩამოთვლილი იყოს შესაბამისი სამიზნე მიმართულებები.

რჩევა სტანდარტი 2-ის 2.1 კომპონენტში - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სააკრედიტაციო ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის წინა პირობა შესაძლოა იყოს ბაკალავრის ხარისხი შესაბამის ან მომიჯნავე დარგში. შესაბამისი კომპეტენცია ასევე გასაუბრებით უნდა დადასტურდეს. სასურველია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ზეპირი გასაუბრების თემები (თუნდაც წინა წლის, ნიმუშის სახით, შესაბამისი მითითებით) მუდმივად იყოს ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აღნიშნული დაეხმარება კანდიდატებს წინასწარ განსაზღვრონ თავიანთი დონე არსებული პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად.

რჩევა სტანდარტი 4-ის 4.1 კომპონენტში - ადამიანური რესურსი: პროგრამაში მონაწილე ზოგიერთი მოწვეული პერსონალის პირად საქმეში არასრულად იყო წარმოდგენილი მათი კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება წასაკითხ სასწავლო კურსთან მიმართებაში (აკლდა უახლესი ინფორმაცია). თუმცა, პერსონალთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათი პრაქტიკული გამოცდილება, კვალიფიკაცია და სერტიფიკატები შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. სასურველი იქნებოდა, რომ ინფორმაცია პერსონალზე განახლდეს და შეივსოს ახალი მონაცემებით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზნები შეესაბამება საქართველოს უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამა იძლევა ცოდნას კომპიუტერულ სისტემების და ქსელების, მონაცემთა ბაზების (შესაბამისი სერტიფიკატების აღების შესაძლებლობით), მობილური აპლიკაციების, ERP სისტემების, საინფორმაციო ტექნოლოგიებში მათემატიკური მეთოდების მიმართულებით. თუმცა, სასურველია ეს უფრო კარგად იყოს ფორმულირებული პროგრამის მიზნების ნაწილში. კერძოდ, ამ ნაწილში ჩამოთვლილია პროგრამის მიერ შეთავაზებული საგნები იმის საჩვენებლად, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. საგნების სანაცვლოდ, უმჯობესი იქნება უბრალოდ ჩამოთვლილი იყოს შესაბამისი სამიზნე მიმართულებები.

პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების პროცესში გამოკვლეული იქნა ბაზარზე დღეს არსებული მოთხოვნები. ბაზრის კვლევა განხორციელდა იმ 25 კომპანიაში, რომელთანაც საქართველოს უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი. აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიების სპეციალისტების ნაწილი თავიდანვე ჩართული იყო პროგრამის სტრუქტურის შემუშავების პროცესში. სასწავლო კურსები შერჩეულია ანალიზის შედეგად გამოკვეთილი მიმართულებით ცოდნის მიცემის მიზნით.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ, ასევე მიღების წესები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი;
- საქართველოს უნივერსიტეტის მისია;
- ბაზრის კვლევის ანალიზი-BSc-MSc;
- ვებგვერდი <https://ug.edu.ge/public/>;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამა იძლევა ცოდნას კომპიუტერულ სისტემების და ქსელების, მონაცემთა ბაზების (შესაბამისი სერტიფიკატების აღების შესაძლებლობით), მობილური აპლიკაციების, ERP სისტემების, საინფორმაციო ტექნოლოგიებში მათემატიკური მეთოდების მიმართულებით. თუმცა, სასურველია ეს უფრო კარგად იყოს ფორმულირებული პროგრამის მიზნების ნაწილში. კერძოდ, ამ ნაწილში ჩამოთვლილია პროგრამის მიერ შეთავაზებული საგნები იმის საჩვენებლად, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. საგნების სანაცვლოდ, უმჯობესი იქნება უბრალოდ ჩამოთვლილი იყოს შესაბამისი სამიზნე მიმართულებები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი დადგენილ მე-7 კვალიფიკაციის დონეს. იგი ასახავს დარგის სპეციფიკას და თანხვედრაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან - იძლევა ცოდნას თანამედროვე პროგრამულ ბაზარზე არსებული ინდუსტრიული პლატფორმების დეველოპმენტის, პროექტის შექმნისა და მართვის შესახებ. კერძოდ, პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს პროფესიული სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნას. მაგისტრანტს შეეძლება საკუთარი ცოდნის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენება, ექნება რა დამოუკიდებლად დიდი ზომის ქსელის ინფრასტრუქტურის დაგეგმარების უნარი; პროგრამულ გარემოში პროდუქტების შემუშავების უნარი; კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ოპტიმალური დაპროექტების უნარი; კომპიუტერული გრაფიკის მათემატიკური მეთოდების გამოყენების უნარი; მობილური აპლიკაციების შექმნის და დისტრიბუციის უნარი; შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით ERP სისტემის შემუშავების უნარი. თანამედროვე ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების ენებში თავისუფლად მუშაობის უნარი; პროფესიული სფეროსათვის დამახასიათებელი კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და წარმართვის უნარი; კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელების უნარი.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში გამოყენებულია საერთაშორისო IT აკადემიების (Microsoft, Oracle, Cisco Academy) სასწავლო პროგრამები, რაც მაგისტრანტს შესაძლებლობას აძლევს საინფორმაციო ტექნოლოგიების მუდმივად ცვალებად და განახლებად დარგში მიიღოს თანამედროვე ცოდნა და გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარები.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგებსა და უნარებს. მიღებული ცოდნა დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა.

პროგრამის შემუშავება-განვითარებაში და ცვლილებების შეტანაში ჩართულია როგორც აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედაგოგები, ისე დამსაქმებლები. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მოწვეული პედაგოგი იმავე დროს დამსაქმებელი კომპანიის თანამშრომელიცაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა - პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი - პროგრამის შემუშავებისა და შეფასების ჯგუფის მუშაობის ოქმი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი;

<ul style="list-style-type: none"> ▪ ინფორმაცია პროგრამაში ინტეგრირებული საერთაშორისო აკადემიებზე (Microsoft, Oracle, Cisco Academy, PALOALTO NETWORKS AUTHORIZED ACADEMY CENTRE) https://ug.edu.ge/ge/it-centrebi-da-laboratoriebi?page=2. ▪ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

პროგრამის შესაბამისობა				
------------------------	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა რეგულირდება საქართველოს უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულებით. სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ინგლისურ ენაში (წერითი) და სპეციალობაში (ზეპირი) გამოცდის წარმატებით გავლის, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე. ამგვარად, სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები შეესაბამება კანონმდებლობას, არის სამართლიანი და საჯარო, და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე <https://ug.edu.ge/ge/programs/2>.

დაშვების წინაპირობები, ზეპირი გასაუბრების თემები ხელმისაწვდომია კადიდატებისათვის ვებ-გვერდის მეშვეობით დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში, პროგრამაზე მიღების გამოცხადების პერიოდში, ხოლო თვით პროგრამა (მიმდინარე ვერსია) მუდმივად განთავსებულია ვებგვერდზე.

საკრედიტაციო ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის წინაპირობა შესაძლოა იყოს ბაკალავრის ხარისხი შესაბამის ან მომიჯნავე დარგში. შესაბამისი კომპეტენცია ასევე გასაუბრებით უნდა დადასტურდეს. სასურველია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ზეპირი გასაუბრების თემები (თუნდაც წინა წლის, ნიმუშის სახით, შესაბამისი მითითებით) მუდმივად იყოს ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აღნიშნული დაეხმარება კანდიდატებს წინასწარ განსაზღვრონ თავიანთი დონე არსებული პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სამაგისტრო პროგრამა;
- საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://ug.edu.ge/ge/programs/2>;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საკრედიტაციო ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის წინა პირობა შესაძლოა იყოს ბაკალავრის ხარისხი შესაბამის ან მომიჯნავე დარგში. შესაბამისი კომპეტენცია ასევე გასაუბრებით უნდა დადასტურდეს. სასურველია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ზეპირი გასაუბრების თემები (თუნდაც წინა წლის, ნიმუშის სახით, შესაბამისი მითითებით) მუდმივად იყოს ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აღნიშნული დაეხმარება კანდიდატებს წინასწარ განსაზღვრონ თავიანთი დონე არსებული პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა შედგენილია საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის შესაბამისად. პროცედურა ასეთია: საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება ხდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ ან სკოლაში შემავალი დეპარტამენტის უფროსის მიერ. ინიცირებული პროგრამაზე მუშაობის დაწყება ხდება სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ. სამუშაოს დასრულებისთანავე პროგრამა გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს და შემდგომ გადის უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად.

განსახილველ სამაგისტრო პროგრამაზე მიღება მიმდინარეობს 2008 წლიდან, აკრედიტაცია მიენიჭა 2015 წლის 21 იანვარს.

პროგრამის სტრუქტურა თანმივდევრულია. პროგრამა 120 კრედიტანია. პროგრამის ძირითადი საგნები შეადგენს 78 ECTS-ს, საიდანაც 48 კრედიტი მოდის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებზე, ხოლო 30 ECTS - სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომზე.

არჩევითი საგნების საერთო რაოდენობა შეადგენს 204 ECTS-ს (30-ზე მეტიკურსი), საიდანაც სტუდენტი ირჩევს 42 ECTS-ს.

ძირითად საგნებს არ გააჩნია წინაპირობები, რაც ხელს უწყობს სტუდენტებს გაიარონ ძირითადი კურსები ეტაპობრივად, სემესტრების მიხედვით. არჩევითი საგნები წარმოადგენს ზოგიერთი ძირითადი საგნის გაგრძელებას და გააჩნია შესაბამისი წინაპირობა. არჩევითი საგნის გასააქტიურებლად საჭიროა ოთხმა სტუდენტმა მაინც აირჩიოს იგი, რაც ართულებს სასურველი საგნის არჩევას. 90 კრედიტის ათვისების შემდეგ სტუდენტს ეძლევა უფლება დარეგისტრირდეს სამაგისტრო ნაშრომზე.

საბოლოო ჯამში, პროგრამის სტრუქტურა თანმივდევრული და ლოგიკურია, და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა იძლევა ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორში კონკურენტუნარიან სპეციალისტებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა მუშავდება პერიოდულად და განიცდის ცვლილებებს ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. რეკომენდაციებს პროგრამის ცვლილებასთან დაკავშირებით იძლევიან, როგორც მოქმედი სტუდენტები, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მაღალია - ხშირ შემთხვევაში სტუდენტები უკვე დასაქმებულები არიან პროგრამაზე ჩარიცხვამდე ან მუშაობას იწყებენ სწავლის პერიოდშივე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- მოქმედი ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;

<ul style="list-style-type: none"> ▪ პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი - პროგრამის შემუშავებისა და შეფასების ჯგუფის მუშაობის ოქმი; ▪ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.3. სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
--

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში 8 ძირითადი სასწავლო კურსია და 34 - არჩევითი. ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება და სრულად ფარავს პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც ასახულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში.

სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. გამოკითხვის სახეებია: ქვიზი ყოველ ლექციაზე (სხვადასხვა ფორმატით), შეაღებულ და დასკვნითი გამოცდები და პრეზენტაცია და სხვა.

კრედიტების განაწილება საგნებზე თანაბარია და მოიცავს 6 კრედიტს, რაც ტრადიციულია საქართველოს უნივერსიტეტის სამაგისტრო დონის საგნებისათვის. ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების განაწილება შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა ითვალისწინებს პროგრამის სასწავლო კურსების სპეციფიკას.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მუდმივად ხდება ლიტერატურის განახლება (მათ შორის, პროგრამაში ინტეგრირებული საერთაშორისო აკადემიების ფარგლებში - ონლაინ მასალის). სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში ელექტრონული და/ან ნაბეჭდი სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკის დათვალიერება;
- სასწავლო კურსის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სავალდებულო და არჩევით კურსებში, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, თეორიულ საკითხებთან ორგანულად არის შერწყმული პრაქტიკული ნაწილი, რაც სტუდენტს პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობას აძლევს. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. დარგში პრაქტიკული გამოცდილების მქონე სხვადასხვა ლექტორთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსებში გამოიყენება რეალური სამუშაო პრაქტიკიდან წამოსული ამოცანები, რაც, თვის მხრივ, პროგრამის ფარგლებში გამომუშავებული ტრანსფერული უნარების რეალურ გარემოში გამოყენებას ემსახურება.</p> <p>პროგრამის დასკვნითი ნაწილია სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს კვლევით კომპონენტს და სტუდენტის მიერ პროგრამაზე სწავლის პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნის, კვლევითი და პრაქტიკული უნარების შემაჯამებას. სტუდენტისთვის სამაგისტრო ნაშრომის შესრულება სავალდებულოა. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას წინ უძღვის კვლევითი უნარების განმავითარებელი სავალდებულო კურსები, რომლებიც დარგის შესაბამისი კვლევის მეთოდების შესწავლასა და კვლევითი ინტერესების ჩამოყალიბებაში ეხმარება სტუდენტებს. სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების უფლება აქვს თუ მას უკვე შესრულებული აქვს 78 კრედიტი.</p> <p>უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების თანახმად მხოლოდ უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს უფლება უხელმძღვანელოს სტუდენტის მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებას, ხოლო მაგისტრანტის ნაშრომისთვის ექსპერტად დასაშვებია სხვა პირის მოწვევა. თანახელმძღვანელი შესაძლებელია შეირჩეს უნივერსიტეტის მოწვეული პერსონალიდან.</p> <p>სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ მონაწილეობა ყოველწლიურ სტუდენტურ კონფერენციაში. პროექტების მატერიალურ-ფინანსური მხარდაჭერით, კონფერენციების, სემინარების, საჯარო ლექციების, ფესტივალების ორგანიზებით უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებს პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებაში.</p>

<p>აღსანიშნავია, უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობს Startup factory, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ბიზნეს იდეების ხელშეწყობას ფინანსურად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და კონსულტაციებით, ამასთან ერთად პერიოდულად ორგანიზებას უკეთებს ტრენინგ-ვორკშოპებს.</p> <p>საქართველოს უნივერსიტეტს, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის ინიციატივით, ამ სკოლის აკადემიური პროგრამების განვითარებისა და შრომით ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა დამსაქმებელთან. მათ შორისაა ბაზისბანკი, სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო, სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერების ქსელების ასოციაცია „გრენა“, ინტერნეტის განვითარების ასოციაცია „აი-დი-აი“, „საქართველოს აისიტი კლასტერი“, შპს „კომპიუტერების დაპროექტების ცენტრი“, შპს „ლემონდუ ბიზნესი“, შპს „ორიენტ ლოჯიკი“ და სხვა.</p> <p>დამსაქმებელთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტების სტაჟირება/პრაქტიკა დამსაქმებელ კომპანიაში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით <ul style="list-style-type: none"> ▪ უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება; ▪ წინა წლების სამაგისტრო ნაშრომები; ▪ სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა ჩართულობის შესახებ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, კონფერენციებში და ა.შ. ▪ საქართველოს უნივერსიტეტის Startup-Factory ▪ სტუდენტური კონფერენცია ▪ კიბერუსაფრთხოების ყოველწლიური ფესტივალი ▪ საჯარო ლექციები/სემინარები, ოლიმპიადები; ▪ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან სწავლა-სწავლების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის დონეს. პროგრამაში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: დემონსტრირების მეთოდი, სიახლეთა გარჩევა, პრაქტიკული მუშაობა, პრეზენტაციების წარდგენა, გუნდური მუშაობა, ლიტერატურის მიმოხილვა, წიგნზე მუშაობის მეთოდი, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოები და შესაბამისი მასალის მოძიება ონლაინ ან ბიბლიოთეკაში.</p> <p>სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში შეადგენს 15 სტუდენტს რაც საკმარისია ზემოხსენებული მეთოდების გამოყენებით სწავლის შედეგის მისაღწევად.</p> <p>სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. სათანადო შემთხვევებში გამოიყენება შერეული სწავლება ელექტრონული სწავლების სინქრონული ელემენტების გამოყენებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.</p> <p>უცხოელი სტუდენტების არსებობის შემთხვევაში, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი ითვალისწინებს მათ კულტურულ და/ან სხვა საჭიროებებს სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებისას, რაც გაწერილია პერსონალის სამუშაოს აღწერაში.</p> <p>საქართველოს უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus+ პროექტში Sustainable learner-centred Teaching - Advanced Recourse for Georgia and China (STAR), რომლის მიზანია პროფესორ-მასწავლებლებისთვის ინოვაციური სასწავლო მიღწევების გაცნობა პედაგოგობაში, რომელიც შეეხება სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას უნივერსიტეტებში. პროექტის ფარგლებში შეიქმნა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელო. გარდა ამისა, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა გაიარეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების კურსი, რომელიც ორგანიზებული იყო უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ.</p>

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
 - სამაგისტრო პროგრამა;
 - სასწავლო კურსის სილაბუსები;
 - ინტერვიუს შედეგები;
 - <https://star.ped.muni.cz/>.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07, ასევე უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების შესაბამისად.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს ყოველკვირეულ, შუალედურ და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. მინიმალურ დადებით შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებები ხორციელდება რამდენიმე კომპონენტის მიხედვით (ღია და დახურული კითხვები, საშინაო დავალება, თემა, რეფერატის მომზადება/პრეზენტაცია და სხვა), რომელთაგან თითოეული გარკვეული შედეგების გასაზომად გამოიყენება. ინფორმაცია შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების შესახებ სტუდენტისთვის ცნობილია სილაბუსიდან და შეესაბამება საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულებას.

ამავე დებულებაშია მოცემული მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სამაგისტრო ნაშრომი, დაწვრილებით არის გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობები, ნაშრომის შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება სპეციალურად შექმნილი საბჭოს წინაშე.

სწავლების პროცესში მუდმივად ხორციელდება სტუდენტთა შეფასების კონტროლი. სტუდენტის მიერ მიღწეული შედეგების შეფასება ხორციელდება ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, შეფასება გამოიყენება როგორც სტუდენტის შედეგების მიღწევის საზომი. მეორე მხრივ, შეფასება გამოიყენება არსებული ნაკლოვანებების გამოვლენის და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

სტუდენტთა შეფასებისას ლექტორი ვალდებულია გააცნოს სტუდენტებს ნაშრომთან დაკავშირებული შენიშვნები და მისცეს უკუკავშირი. შეფასებების და მასთან დაკავშირებული უკუკავშირის ასახვა მართვის Online სისტემაში „Online UG“ ლექტორის მიერ ხდება სასწავლო დებულებით განსაზღვრულ ვადებში. წვდომა ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე სტუდენტს აქვს შეუფერხებლად სტუდენტური Online სისტემიდან „ჩემი UG“. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს სტუდენტის შეუფერხებელ წვდომას შემოწმებულ საგამოცდო ნაშრომებთან, რომელშიც ლექტორს საგამოცდო საკითხის ქულა მინიჭებული აქვს შესაბამისი კომენტარით.

სტუდენტური სისტემა „ჩემი UG“ მთლიანად უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას და დისტანციურ რეჟიმში იძლევა სტუდენტი-ლექტორის კომუნიკაციის შესაძლებლობას.

ამრიგად, შეფასებები გამჭირვალეა და სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია ლექტორის კომენტარები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
 - სამაგისტრო პროგრამა;
 - სასწავლო კურსები;
 - შეფასების ფორმები;
 - საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება;

<ul style="list-style-type: none"> ▪ online UG სისტემა: http://my.ug.edu.ge/login.php; http://online.ug.edu.ge/login.php; ▪ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტი თავისი სტუდენტებისათვის (სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთანავე) მართავს საორიენტაციო ღონისძიებებს, როდესაც სტუდენტებს აცნობენ უნივერსიტეტის შენობას, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ და მომზადებას უტარებენ ონლაინ სისტემის „ჩემი UG“-ს გამოყენებაში. სტუდენტს შეუძლია სხვა, მისთვის საინტერესო ინფორმაცია მოიპოვოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ან IT განვითარების სამსახურებისგან. სკოლა, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური, IT განვითარების და ფინანსურ სამსახურებთან ერთად, დახმარებას უწევს სტუდენტს ადმინისტრაციულ და ტექნიკურ საკითხებში, ხოლო სკოლის დირექტორი და დეპარტამენტის ხელმძღვანელი სტუდენტს ეხმარება აკადემიური საკითხების მოგვარებაში.

უნივერსიტეტში მიმდინარე ახალი პროცესების შესახებ სტუდენტები ინფორმაციას იღებენ შეტყობინების სახით “online UG” ელექტრონულ ვებ-გვერდზე. შინაგანაწესის მიხედვით ყველა თანამშრომელი/სტუდენტი ვალდებულია შეტყობინება და განცხადება შეამოწმოს ყოველდღიურად. მთლიანობაში სტუდენტები კმაყოფილები არიან ინფორმაციის მიწოდების სისტემით.

